

საგზიელო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთოლი გავითი

სუთზავათი 16 ავვისტო 2001 №154 (1427)

ფასი 50 თეთრი




ინგლისი — ჰოლანდია 0:2. ფრანკ ლამპარდი კევის ჰოფლანდმა წააქცია, ინგლისი — ჰოლანდია

ქართვებმა ლუქსემბურგის ბაღში გაისაირნეს

ჰოლანდიაელებმა ინგლისში

საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგს 3:0 მოუგო. გამარჯვება კარგია, მით უფრო, სამი უპასუხო ბურთით, მაგრამ უკეთესია, თუ მეტოქედ ლუქსემბურგი კი არა, ვთქვათ, უნგრეთია — საქართველოს ნაკრების 1:4 შემარცხვენელი უნგრეთი, რომელიც გუშინ ბუდაპეშტში გერმანიასთან 2:5 თავად შერცხვა. სირცხვილს ვერც ინგლისელები და მათი შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი გადაურჩნენ, „უაით ჰართ ლეინზე“ ბრიტანელებს თავსლაფი ჰოლანდიაელებმა და ლუის ვან გაალმა დაასხეს. ვან ბომელისა და რუუდ ვან ნისტელროის გოლებით ერიკსონმა პირველი ინგლისური მარცხი იწვინა.



სვენ გორან ერიკსონი



ლუის ვან გაალი

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS ლონდონიდან

ამხანაგური მატჩი

ლუქსემბურგი 0:3 საქართველო

01, 02 დემეტრაძე, მამალაძე

სამატჩოში: გვარამაძე (ლომაია); საფხია, ხიზანიშვილი, სიხანიშვილი, ბურდული (ონიანი), ქვიშკიძე, ცუტუნიანი, გარბაშვილი; მამალაძე, დემეტრაძე (ასათიანი), ალექსიძე



გიორგი დემეტრაძე ნაჯრეში ორი გოლით დაბრუნდა

ამხანაგური მატჩები

ლატვია 0:1 უკრაინა

01 მელაშენკო (17)

გუსტავია 2:0 გელა

01, 20 ბალინი (17, 45)

ჩინეთი 5:0 საზღვაო ძორობა

01 ნუდუვი (31), 20 ბარანევი (65), 30 ლოკოშვილი (74), 40, 50 ბარანევი (87, 90)

რუსეთი 0:0 საბარკანეთი

ლიტვა 2:3 ისრაელი

01 გერშონი (34), 11 იანკოვსკი (42), 21 პოპოვი (65), 22 ბანიანი (71), 23 ნიშნი (86)

ფინეთი 4:1 ბელგია

01 ფორსელი (2), 20 კოლაკი (13), 30 ლიბმანი (29), 31 გიორი (36), 41 ტიბინენი (77)

ნორვეგია 1:0 თურქეთი

01 სოლსკვიერი (75), 11 შაქინ შუქური (78)

გუბარკანეთი 1:0 გუბარკანეთი

01 ბალინი (47)

შვედეთი 3:0 საზღვაო ძორობა

01 ლარსონი (18), 20 ოლბოკი (55), 30 ანდერსონი (65)

სლოვაკეთი 3:4 ირანი

01, 02 ბაგერი (8, 16), 12, 22 ორაგვი (18, 20), 32 ვიტეკი (29), 33 ვაშევიჩი (42), 34 ბაგერი (85)

ოსტონდია 1:0 პოლონეთი

01 პრეჟდერსონი (20), 11 სიგურდსონი (87)

სლოვენია 2:2 რუმინეთი

01 მ. ნიკოლაე (14), 11 აჩიმოვი (56), 12 მოლდოვანი (66), 22 ზაპოვი (76)

ირლანდია 2:2 ხორვატია

01 დავი (21), 20 მოროსონი (77), 21 ფარინეტი (80), 22 შუკერი (90)

ინგლისი 0:2 პოლანდია

01 ვან ბომელი (38), 02 ვან ნისტელროი (40)

უნგრეთი 2:5 გერმანია

01 ბიომე (31), 02 კელი (44), 03 იანკოვი (46), 04 ფ. ბაუმანი (59), 14 ტოკოლი (64), 24 ფ. პორტუგალი (89), 25 ბიროვი (90)

საფრანგეთი 1:0 იტალია

01 ბირეტი (13)

ავსტრია 1:2 შვეიცარია

01 ფრელი (10), 11 ა. პრეცოვი (21), 12 მ. იანი (74)

პორტუგალია 3:0 მონტენეგრო

01, 20, 30 ფიგუ (43, 89, 90)

რუმინეთი (იტალია) 1:0 საქართველო

01 სუბოტი (45), 11 ბატისტუტა (85)

ამოწმებული ნაწილობრივად აღსანიშნავია

1999 წლის I კვირის VII ტური
0:2 უკრაინა 2:0 საქართველო
 01 მისაილოვი (23), 20 შუკერი (85)

რუსეთი	7	5	2	0	10:3	17
სლოვენია	7	3	4	0	11:7	13
იუგოსლავია	7	3	3	1	13:4	12
შვეიცარია	7	3	2	2	14:6	11
ფარერები	7	1	1	5	5:17	4
ლუქსემბურგი	7	0	0	7	2:18	0

II კვირის VIII ტური
საქართველო 2:2 კირილი
 01 კონსტანტინოვი (39), 11 ზულანსკი (51), 12 კონსტანტინოვი (67), 22 ნოვიკოვი (89)

ირლანდია	8	5	3	0	18:5	18
პორტუგალია	7	4	3	0	18:5	15
პოლონდია	7	4	2	1	21:8	14
ესტონეთი	8	2	2	4	10:16	8
კვიპროსი	8	2	2	4	12:24	8
ანდორა	8	0	0	8	4:25	0

ქართველებმა ლუქსემბურგის ბაღში გაიხირონ

ლიბ, საქართველოს ნაკრები მთლად ჩამოსაწერი და წყალწალბული როლი ვთქვით...

გუშინ ქართველთა ეროვნული გუნდი მუჭისტოლა ლუქსემბურგისას ამხანაგურად გაეჯობრა და არამხანაგური ანგარიშით 3:0 მოუგო. გასაზარად გვაქვს ვითომ საქმე? ალბათ — პო, ევროპაში ზომ საქართველოს ნაკრებს სწორედ ლუქსემბურგებთან, ანდორებთან, სან მარინოებთან და ბევრ მათთანთან აიგვივებენ.

3:0. ვერაფერს იტყვი. უფროაღია არცთუ ძლიერი შემადგენლობით მოთამაშე ნაკრებს, რომელიც ხუთი წლის შემდეგ კვლავ ალექსანდრე ჩივაძემ დაარია. სამი გოლიდან ორი ჩივაძესავით ნაკრებში დაბრუნებულმა, ესპანური „სოსიდადის“ თავდასხმელმა გიორგი დემეტრაძემ გაიტანა, ერთიც — „ჩელსიდან“ ასაბარებულად გამზადებულმა რატი ალექსიძემ. ისიც ვთქვათ, რომ დემეტრაძემ 3:0-ზე პენალტიც გააცუდა.

მასპინძელი რა იყო და სტუმარი რა ევოლებოდა... 9200-იან სტადიონზე ათასამდე ქომივიც არ მისულა.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს სექტემბრის დამდეგს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე აწ უკვე უიმედო შესარჩევი ციკლის ორი მატჩი ელის, 1 სექტემბერს უნგრეთთან, 5-ში ლიტვასთან.

მოგა ინასარიძე

სეირნობა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის



ირლანდია — ხორვატია. მასპინძელმა დემიენ დამმა ხორვატ დარით სიმინს ლამის შხარი წაიცილა



უნგრეთი — გერმანია. გერმანელებმა უნგრელთა მეკარე გიორგი კირილის თავგზაც აუბნინეს და თავბრუვით აწყველენ



საფრანგეთი — დანია. ჩიი ლიბარამემ აბმბ რომელდას აწოდა



ბუდაპეშტში ბურთი თამაშში ფერენც პუსკაში შიეყვანა

მსოფლიოს ჩემპიონატის უმსარჩვეო მტავი სამხრეთ ამერიკა



ვენესუელა — ურუგვაი. მასპინძელთა კაპიტანი ხუან არანგო (მარჯვნივ) კარგი თამაშითაც გამოირჩა და უხეშობითაც

ვენესუელის ნაკრების ქომაგი შეხვედრის დასაწყისშივე მიხვდა, რომ მათი ნაკრები რაღაც სხვაანაირი უნით თამაშობდა. ტრიბუნებზე თავმოყრილნი

პირველად რუბერტ მორანის უძლიერესმა დარტყმამ წამოშალა. ბურთი ურუგვაელთა კარის დარაჯ ფაბიან კარინის გასცდა, მაგრამ ძელს მოხვდა.

მასპინძლებმა პირველი ნახევარი მეტოქის რბევით განაგრძეს. გამოსარჩევია გამოთამაშებული ხუან არანგო, რომელიც ვენესუელელთა მძაფრი შეტე-


ამხანაგბური მატჩები

რეალი (საბანო) 12 ინტერი (იტალია)
მეფე, მთელი პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლა გააძლიერა.

გაუქრა და თამაშიც გათანაბრდა. ამ დროს კი ექტორ კუპერმა ვიერის ნაცვლად აღრიანო შეიყვანა მოედანზე, რომლის მეორე წამეტებულ წუთზე გატანილმა საჯარიმომ „ინტერს“ გამარჯვება მოუტანა.

რის წინ გახდა ინტერელი და მოედანზე პირველივე გასვლა გოლით აღნიშნა.

„ინტერმა“ შეძლო ის, რაც ოცდაათობეტი წლის მანძილზე ვერ მოეხერხებინა — „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოუგო „რეალს“. მაშინ, 1966-67 წლების სეზონის ჩემპიონთა თასის მეოთხედიდან, „ინტერმა“ შინ იმ, ხოლო მადრიდში 2:0 დაამარცხა „სამეფო კლუბი“ და თასის ფინალს უწია, სადაც „სელტიკთან“ წააგო.



რეალი — ინტერი. მადრიდელი იტორ კარანჯა (მწმ) და მოპამედ კალონი

ვების ორგანიზატორი და მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი გახლდათ. ურუგვაელთა უმეტესობა, გმოეჩინა დარით სილვარ რომელს დარტყმამაც რაფაელ დელამელის კარის ხარისა შეაზანსარა.

მეორე ნახევარი ახალდაწყებული იყო, როდესაც ვენესუელელმა გარჯა დაუფასდათ. გოლის შემქმელი მატჩის გმირი არანგო გახლდათ. მისი ჩინებული პასი მორანიმ ასევე ოსტატური დარტყმით აქცია გოლად. სტუმრები ამან გამოაფხიზლა, თამაშიც დაიძაბა.

კაცნაკლულმა ურუგვაელებმა თამაშის მობრუნება ვეღარ შეძლეს, თუმცა ძლიერ კი ცდილობდნენ. მატჩის მიწურულს რაფაელ დელამელმა ალვარო რეკობას აუღებელი აული. შემდეგ კი უკვე მასპინძელთა ჯერიც დადგა და ვენესუელელმა რონდონმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ვენესუელელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს. ამით მათ პრესტიჟი აიმაღლეს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სატურნირო ცხრილში ურუგვაელთა მეზობელ ბრაზილიელებს წაეხმარნენ. ტეტრაკამპონები და ურუგვაელები ზომ გვერდივედრ არიან და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელ ოთხეულში მოხვედრას ლამობენ.

ვენესუელა — ურუგვაისგან განსხვავებით, ჩილე — ბოლივიის თამაშს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. ფრეს საკვალივაცაიო ჯგუფში არაფერი შეუცვლია. ბოლივიელები მეშვიდეზე, ხოლო ჩილელები მეცხრე ადგილზე დარჩნენ. არც ერთ გუნდს კორეა-იაპონიის საგზურის მოპოვების პრეტენზია არ აქვს და მატჩის შედეგიც ლოგიკურია. აღსანიშნავი მხოლოდ ჯერაც უცხოელი მარსელო სალასის კარგი თამაში და ორი გოლია.

გიორგი მამარლაშვილი

პროფესიონალი მსახიობი მამარლაშვილი

Table with 2 columns: Team, Goals, Points. Header: II ჯგუფი. VI ტური. Sub-header: მატჩი 03 კვირისი.

Table with 2 columns: Team, Goals, Points. Header: III ჯგუფი. II ტური. Sub-header: სანტოს ლაგუნა (მდინარე) 3:1.

გერმანია ჩრდილოეთ რეგიონალური

Real estate advertisement for 'იყიდება' (For Sale) with contact information and address details.


Real estate advertisement for 'რეკლამა სარბიელ-ში' (Real estate in Sarbiel) with contact information.

იტალიური სამკუთხედი მილანი-რომი-ტურინი ახენიებზე ფეხბურთი გოგოლა ფინანსისტებისა და მასობრივ ხელში

ფეხბურთის რეკონსტრუქცია



არბანტინულმა ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.



წლეულს სკულდერი „რომა“ და მის პრეზიდენტი ფრანკო სენისი (შუაში) ერთად

სულ მალე სერია A-ში ახალი სეზონი დაიწყება. მანამდე კი იტალიელი ჟურნალისტები ცდილობენ გაარკვიონ ვინ და რა ძალები მართავს დღეს მათ ფეხბურთს. ამომწურავ პასუხს, ცხადია, ვერავინ იცვლის. თუმცა კვლევა და ფიქრიც დიდი საქმეა. გთავაზობთ ჟურნალ „გურინ სპორტივის“ რეპორტიორ მაცო მარანის ნერიუსს, რომელიც ჩანყობილ თამაშებზე მოეჭვიანე ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

„გადაწყვიტვების“ დახლოებით ხუთი კაცი იღებს. ეს მილანის ერთ-ერთ ოფისში ხდება. მილანარაკლებენ და მერე სხვებს იძულებით ითანხმებენ. თუ გადაჩვენა გსურს, უნდა დაემორჩილო. თუ არა და საქმიდან ისე გაგაძევენ, ვერაფერს გაიგებ. მათთან ნიადაგ ზედმეტხეივნი უნდა იქნას. ისინი მხოლოდ ერთ რამეს — გამარჯვებას აღიარებენ — ამბობს „მილანის“ პრეზიდენტი ფრანკო სენისი. ფარინა ხშირად შეხვედრია ასეთ ხალხს: მკითხველს ჩაკეტილი, საიდუმლო შეხვედრები... ბოლო ფინანსისტებისა და მასობრივ გაკლეს სულ უფრო იზრდება. არადა, ძნელი დასაჯერებელია, თითქოს კენ ფოლეთის წიგნებიდან გადმოვიდნენ.

ლენის ალაგვას ცდილობენ, ხოლო ჩრდილოეთით პასუხობენ, რომ ამ სეზონში მსაჯები დღეაქალაქურ კლუბებს მიემხრობიან... ასეა თუ ისე, ლოგიკური კითხვა იბადება: მართლაც არსებობს თუ არა უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც ცალკეული მატჩებისა თუ მილიანად ჩემპიონატების შედეგებზე მოქმედებს? „ასეთი რამის არ მჯერა. არსებობს გუნდები, რომლებიც იგებენ და ხელმძღვანელები, ვისაც დიდი გუნდების შექმნა ძალუძოთ. არც მე ვარ ყოვლისშემძლე. უბრალოდ, ძალიან ბევრს ვმუშაობ“ — ამბობს „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუიჯი მოჯი, რომელიც დღევანდელ კალწოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და მოხერხებულ ხელმძღვანელად ითვლება.




ლუიჯი მოჯი

ტურინული „ტურტოსპორტის“ რედაქტორი ქსავიერ იაკობელი წერს: „კარარი ჩინებულად მუშაობს. არადა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციასავით, აბაბო, ბაჰამებზეც აღარ იქცევიან. განა შეიძლება ორი კაცი კენჭისყრით ნიშნავდეს ამა თუ იმ მატჩის მსაჯს? იტალიელ მოხელეთა შორის საუკეთესოდ ხშირად მოვიხსენებ ასახელებენ და მართალიცაა. ამიტომ, როცა რომიდან მესმის, ჩვენ სკულდერს არ მოგვკავებინებენ“, ძალიან მინდა ვიცოდე, ვინ არ მოაგებინებო. თუ ასეთი დარწმუნებულები არიან, მაშინ სახელი და მისამართიც მიუთითონ.“ იტალიაში ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს და თითქმის ყველაფერში ვლინდება: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობებში, კულტურაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე. ასეა ფეხბურთშიც. ათწლეულების მანძილზე სამხრეთულ გუ-

ნდებს აინუნშიც არავინ ავლებდა. დღესაც მათი მონაგარი ჩრდილოელებზე გაცილებით ნაკლებია და ამისდაკვლად დაპირისპირება კიდევ უფრო მძაფრდება. და მაინც, ვითომ რამდენიმე „ძლიერი“ ამა ქვეყნისა? წვეტს ვეღვაფერს? ეგ ყველაფერი ზღაპრებია — ამბობს ორწლიანი პაუზის მერე „იუვენტუსში“ დაბრუნებული მარჩელო ლიბი — ძალაუფლება იმ კლუბების ხელშია, ვინც ხშირად იმარჯვებს. წარმატება მიუვლი გუნდის დაუღალავი შრომით მიიღწევა და არა ცალკეული ადამიანების გავლენით.“ და მაინც, ძლიერი პიროვნებების გარშემო დისკუსია არ წყდება. ჯერონცის, კარაროსა და მოჯის გვარებთან ერთად ხშირად ასახელებენ „იუვენტუსის“ მთავარ მენეჯერ ანტონიო გირაუდოს, რომელმაც „იუვეს“ აწყობილი მანქანა ჩამოაყალიბა. ჩინებული ბიუჯეტი, დიდი გამარჯვებები და დიდი კომერციული მოგება. მან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე თქვა უარი ან რად უნდოდა, როცა თავად ირჩევს მათ.

„მილანი“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანის ფიგურა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ახლახან ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი ჩაიბარა. გაზაფხულზე „მილანს“ ჩავარდნა ჰქონდა და დამნაშავეც მაშინვე იპოვეს. მწვერთელი ალბერტო ძაკერინის პრეზიდენტის აზრის საწინააღმდეგოდ ოთხის მაგიერ სამი მცველით თამაშობდა. გალიანიმაც, თანამდებობა რომ შეენარჩუნებინა, „ძაკე“ დაითხოვა და ახლა თურქი ფატიჰ თერიმის იმედი აქვს, რომელიც ასევე გააფრთხილებს, ოთხი მცველით უნდა ითამაშოს... რაც შეეხება რომელებს. ცხადია, რომ ბოლო დროს ყველაზე მეტად „რომის“ პრეზიდენტი ფრანკო სენისი დგას. ამან თავისი გუნდის ჩემპიონობა იმით აღნიშნა, რომ ნავთის მოპოვებელი ახალი უზარმაზარი ჯაბურდოლი დადგა. მისი ლაციოელი კოლეგა სერჯო კრანიოტი კი, ვისზეც ამბობენ, თუ დასჭირდა ესკიმოსებს მაცივრებს მიჰყვიდისო, ამ ზაფხულს დიდი ვნებათაღელვის მსხვერპლი გახდა, რაც უმთავრესად არგენტინელი ვერონის „მანჩესტერში“ გაყიდვად გამოიწვია. კრანიოტი იქამდეც კი მივიდა, რომ კლუბიდან წასვლა განიზრახა. „ატილანტას“ პრეზიდენტი ივან სუჯარი ამბობს: „კლუბების ძალაუფლებას მათი ბიუჯეტი განსაზღვრავს. თითქოს ჩვენ, პატარები უფრო შეკრულები ვართ, მაგრამ როცა ბოლოები რაიმეს გადაწყვეტენ, ცხადია, თავისი გააქვთ. ასეა, თუ რომი — მილანი — ტურინის წარმომადგენლებმა რაიმე ჩაიფიქრეს, მათ წინ ვერავინ დაუდგება“ და რას ამბობენ უბრალო გულშემატკივრები? მაგალითად, რომელები ხარობენ და სჯერათ, რომ საფეხბურთო დღემთი მათ ქალაქში გადასახლება ჩრდილოელები კი პირქით ფიქრობენ და ამბობენ: „ჩვენ გულისხმიერები ვართ და რამდენიმე წელიწადში ერთხელ სკულდერის სამხრეთელებს ვუთმობთ, მერე კი ისევ ჩვენი ვჯრით დგება.“ თუმცა, რომელთა ბოლოდროინდელი წარმატებები ბრძენ ჩრდილოელებს სულ უფრო აფიქრებს.



ადრიანო გალიანი

ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.

ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.

ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.

ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.

ინტენციონებმა და „უნიონმა“, როგორც იქნა, დაასრულეს ოცდაათი მოლაპარაკება „უნიონი“ დათანხმდა ერთი წლით იჯარით დათმოს თავისი ხელმოწერის საფასური ოთხასი ათასი დოლარია. წაგებული არც „ინტენციონები“. კონტრაქტით, მათ სილვერას გაყიდვის შემთხვევაში ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების ოცდახუთი პროცენტი ერგებათ.

ფრანგი ფეხბურთის მწვერვალს პარიკსონი ლიგერულად იტალიაში ნასვლას ურჩევს



ფერარ ულიეს და რობი ფაულერს ერთმანეთის აღარ ესმით

ყველაფერი მამინ დაიწყო, როცა „ლიგერულში“ როი ევანსს ფერარ ულიე შეუწყვილეს. ორი მწვერთელის ერთად მუშაობას სხვაგან რა სიკეთე მოუტანია, რომ მერსისაიდულ კლუბში მოეტანა. ინგლისელი თავისას გაიძახოდა, ფრანგი კი მას შემადგენლობის საკუთარ ვარიანტებს სთავაზობდა. პოლა, როგორც მთავრდება ორხელი-სუფლებიანობა, კარგად მოგხსენებთ. ამ არეულობაში თავად საფეხბურთო კლუბ „ლიგერულის“ სახელი და დიდება ჩაიძირა. გამოსავალი ერთი იყო — ერთ-ერთი გუნდიდან უნდა წასულიყო. კლუბის მებატონეებმა გადაწყვი-

ტეს, რომ წამსვლელი როი ევანსი იქნებოდა, დამრჩენი ფერარ ულიე. რობი ფაულერისა და ფრანგი მწვერთელის კონფლიქტიც აქედან იწყება. ფაულერი რომ განთქმული შოთის-თავია, ყველასათვის ცნობილია. იგი ხშირად მოხვედრილა სხვადასხვა გაუგებრობაში და აყალბაყალბო. ხან გრემ ლე სოს წაქეზებდა, ხანაც „ევერტონის“ ფანობას, ერთხელ კი რომელიღაც ბარშიც ატრიალა მუშტები. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ბიჭს მუდმივად ტრავმები ტანჯავდა და ფორმის პიკს ვერაფრით უწია. მიუხედავად ამისა, „ლიგერულის“ გულშემოტიკვერები

თავიანთ კერას ყველაფერს პატიობდნენ, რადგან ასეთი დონის მკვერლე ბოლო წლებში გუნდს არ ჰყოლია. განსაკუთრებული ბოძბარდირული თვისებების გამო ფანები ფაულერს აღმერთებდნენ, რადგან 21 წლისას „ლიგერულის“ შემადგენლობაში ნათამაშევე ოფიციალურ შეხვედრებში 100 გოლის გატანა მოეწყო.

მაგრამ როგორც კი ფერარ ულიემ სადავეები ხელთ იგდო, მყისვე დისციპლინის დამყარებას შეუდგა. მან ყველასათვის საყვარელი რობი ათვალა — წუნა და შეტევაში ოუნ-ჰესის დუეტი ამჯობინა. ამიტომაც ფაულერს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა და მოედანზე გასასვლელად იარი ლიტმანენტთან ჭიდილი უწევს, არადა, ამჟამად მართლაც კარგ ფორმაშია. ინგლისური წყაროები იტყობინებენ, რომ „ლიგერულში“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრის (ინგლისის სუპერთასზე) წინ კარდიფში რობი ფაულერი და ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონი ხელდახელ შეიბნენ. ფერარ ულიესაც მეტი რა უნდოდა, ფეხბურთელი განაცხადში აღარ შეიყვანა.


აქ არის კიდევ ერთი მომენტი — ნაკრები. სვენი გორან ერიკსონი არ მალავს, რომ ფაულერი, როგორც ფეხბურთელი, ძალიან მოსწონს, მაგრამ ნაკრებში ძირითადის გარანტიას არ აძლევს. შვედს ისეთი ფეხბურთელები სჭირდება, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აქვთ. ამიტომ ერიკსონმა ფაულერს, არც მეტი, არც ნაკლები, „ლაციოში“ ან მილანის „ინტერში“ გადასვლა ურჩია. ამასობაში ულიემ 19 წლის ჩეხი ფორვარდი მილან ბაროში შეიძინა, რამაც შეიძლება კიდევ უფრო მეტად უბიძგოს რობი ფაულერს წასვლისკენ. როგორც ამბობენ, 26 წლის ფეხბურთელი ამჟამად სხვადასხვა ვარიანტებს არჩევს. მათ შორისაა „ინტერცი“, რომლის პრეზიდენტი ბრიტანელი ფეხბურთელების დიდი მოყვარული ყოფილა. არ გამოიცხადებენ „იუვენტუსისა“, ხოლო ფაულერის ფასი სავარაუდოდ 20 მილიონი დოლარი იქნება.

გაბა ხუციშვილი

გაიხდი და გადაიხდი იან კოლერს პრეზენტს შენი კაპა

იან კოლერს ცოდვები გაუხსენეს, თანაც როგორი. ეს ამბავი ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდიის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს მოხდა, როდესაც ანგარიში 1:0 იყო, ჩეხთა მწვერთელმა ანგარიშის შესწორების მიზნით თავდასხმელის შეცვლა რომ გადაწყვიტა და შეცვალა კიდევ განრისხებულმა კოლერმა კი გასასვლელის შესასვლელში ეროვნული გუნდის მაისურა გაიძირა, ძირს დაავლო და ფეხით გათიქა. აბა, ამას როგორ აბატიებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის შემდეგ კოლერმა თავისი საქციელი მოინანიდა და ბოდიშიც მოიხადა. ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინწინ ფეხბურთელს ეს გამოხტობა გაუხსენა და როგორ ფიქრობთ, რა თანხით დააჯარიმა? — ჩეხეთის ნაკრების მაისურის აბუჩად ავდება კოლერს სულ რაღაც 500 ამერიკული დოლარი დაუჯდა. აბა, „დორტმუნდის“ ბორუსიაში მოთამაშე ჯიბეძექელ ფორვარდს 500 დოლარი რას დააკლებს? ნაკრების მაისურის შეურაცხყოფის საფასური კი ჩეხეთში თურმე ძალიან იაფია.

გაბა ხუციშვილი



იან კოლერს მხოლოდ 500 დოლარი აქმარეს

პროსინეჩკის ინგლისის გზა დაულოცავს

გადაწყვეტილი ამბავია, როგორც პროსინეჩკი ინგლისის პირველი დივიზიონის ინგლისის პირველი დივიზიონის „პორტსმუთში“ ითამაშებს, არადა, ხორვატს სამუშაო ვიზას არ აძლევდნენ, ეროვნულ ნაკრებში ბოლო ორი წელი თამაშების 75 პროცენტზე არ დაგვიტოვებია. ამის გამო ხორვატ ვეტერანს პირველი ტურის მატჩის გამოტოვებამ მოუწია. „პორტსმუთმა“ აპელაცია შეიტანა, რომლის განხილვაც ორშაბათს მანჩესტერში შედგა და საბოლოოდ ყველაფერი „პორტსმუთისა“ და პროსინეჩკის სასიკეთოდ გადაწყდა.

„ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ გვინდა, ახლა გუნდში მსოფლიო კლასის ფეხბურთელი გვყავს“ — განაცხადა გაზარტულმა კლუბის საფეხბურთო საქმეების დირექტორმა (ასეთი საქმეებიც არსებობს) პარი რენდანმა. პროსინეჩკის დებიუტი კი შაბათს „ბრედფორდთან“ საშინაო მატჩში შედგება. მანამდე კი, ვეტერანი არც ნაკრების ხელმძღვანელობამ დაივიწყა და ირლანდიასთან გასამართ ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ მიიწვია.

სამგო ტორიძე

ბიბოში რომ მარსელში მიდიოდან... ბუდაპეშტი ნათლობის ქალაქია



ოლივერ ბიბოში კაპიტნობა დათმო

ბუშინ გერმანიის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი საქართველოს თანამეჯგუფე უნგრეთთან ამხანაგურად ითამაშა. გუშინვე გერმანელი თავდასხმელი ოლივერ ბიბოში საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ მარსელში უნდა ჩასულიყო.

თუ სასწაული არ მოხდა, იგი „მარსელთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. „მილანის“ თავდასხმელის გადაბირება აქამდე ინგლისურ კლუბებს — „ლიდს იუნაიტედს“, „ფულემსა“ და „საუთჰემპტონს“ სურდათ, მისი შექენი თუ გერმანული „ლევერკუზენი“ და

„პაბოშვიცი“ იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა ყველაზე რეალურ მსურველად მაინც ესპანურ „ბეტისს“ ასახელებდნენ, მაგრამ...

„მარსელში“ სიამოვნებით ვითამაშებ. მე სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, რათა ეროვნულ გუნდში ადგილი კვლავაც შევიპოო. ჩემი მიზანი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია. „მილანში“ დარჩენით კი ნაკლები პერსპექტივა მელის. მართალია, იტალიაში გატარებული წლებით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ მე ფეხბურთის თამაში მინდა“ — განაცხადა ბიბოში. „მარსელმა“ თურქული „გალათასარაიდან“ ბრავილილი მარო ყარდელი რომ ვერ გადაიბირა, ახლა ბიბოშის დადგა თვალი და თანახმაა, „მილანს“ 3 მილიონი გირვანქა (4 მილიონ 288 ათასი დოლარი) გადაუხადოს.

ორი დღის წინ ოლივერ ბიბოშიმ გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვერთელ რუდი ფილერთანაც ისაუბრა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ბიბოშის ნაკრების კაპიტნობა დროებით ჩამოერთვა. ამ საპატიო მისიას მსოფლიოს საუკეთესო მეჯარე ოლივერ კანი იტვირთავს. მიუნხენის „ბაიერნის“ კარის დარაჯი ნაკრების კაპიტნად პირველად წუხელ უნდა მონათლულიყო.

გიორგი მუხამბეძე



**კავალისკეის
გაზათი
სარბიელი**

თავის ფასში
ბელეფონით!

იიცანე პიხანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მოგვილი“

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით ამკნებული
რეაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

იწრაპი ბაზშიმის გამზირი №7. კინოთეატრ „სალამოსთან“

მილუოკი ბაქსი

დაარსდა 1968 წელს

ნბა-ს ჩემპიონი: 1971

მუდმივი ნომერი: 1 (ოსკარ რობერტსონი), 2 (ჯუნიორ ბრიჯმენი), 4 (სიდნი მონკერიფი), 14 (ჯონ მაკკლოკინი), 16 (ბობ ლენიერი), 32 (ბრაიან ვინტერსი), 33 (ქარიმ აბდულ-ჯაბარი)

დარბაზი: ბრედლი სენტერი, ტევადაობა 18717

მილუოკი ჩხრიალა გველვებს გადაურჩა

არ არსებობს მეტ-ნაკლებად ცნობილი კალათბურთელი, ვისთვისაც ერთხელ მაინც არ ეკითხოთ: „ვინ არის ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელი?“ რა გასაკვირია და, გამოკითხულთა უმეტესობა ასეთად მაიკლ ჯორდანს მიიჩნევს, თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს. მაგალითად, ნბა-ს თამაშებში ყველა სხვაზე მეტი ქულის ჩამდები, ასევე სარეკორდო ბეგრი, ექვსი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის მფლობელი და ამდენივე წლის ჩემპიონი ქარიმ აბდულ-ჯაბარი კალათბურთელის ეტალონად ოსკარ რობერტსონს თვლის. „ქარგი, თავი დავანებოთ ბერდს და „მეჯეიქს“. ისინი და ჯორდანს ერთი ეპოქის შედეგები არიან, მაგრამ არ მისძის, როგორ უნდა გავუთვლოთ მისი ოსკარს ან ჩემბერლენს? თუ ტიტულებზე მივლა საქმე, ჯორდანი ახლოსაც ვერ მივა ბილ რასელთან — თქვა ერთხელ ჯაბარმა, თუმცა თავი მაინც ვერ შეიკავა და ძველი და ახალი ლეგენდები შეადარა — ჯორდანი თავის დროში საუკეთესო იყო, ამასთან, იგი ნიუიორკ ნიადგუმი მოხვდა, ოსკარმა კი თავისი გარემოთა უდაბნო თავისადა აქცია და ბეგრით გაუსწრო მაშინდელ კალათბურთს. მე უპირატესობას რობერტსონს ვანიჭებ“ — ასეთია ქარიმ აბდულ-ჯაბარის აზრი.

მათთვის, ვისაც ქარიმის რჩეულის სახელი და გვარი არ გაუგია, ვიტყვით, რომ ოსკარ რობერტსონი ნბა-ში 1960-74 წლებში თამაშობდა და დაამყარა ნბა-ს რეკორდი პასებში. 80-იან წლებში მისი შედეგი გაუმჯობესა „მეჯეიქ“ ჯონსონმა, რომელსაც თავისი მხრივ მოგვიანებით ჯონ სტოქტონმა გაუსწრო. 1960-68 წლებში მხოლოდ რობერტსონმა აჯობა იმ დროის გიგანტებს — ბილ რასელს და უილტ ჩემბერლენს და 1964 წელს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. მანამდე „ცინცინატიში“ მოთამაშე რობერტსონი 1970 წელს „მილუოკიში“ ყმაწვილ აბდულ-ჯაბარს შეუწყვილდა, 1971 წელს ამ დუეტმა „ბაქსი“ პირველად და უკანასკნელად აჩემპიონა. „ოსკარმა მახიარა ნამდვილ კალათბურთს. ის რომ არა, ვუნდერკინობას ვერ გავცდებოდი“ — ქარიმი თავის ბრწყინვალე კარიერას რობერტსონს უმაღლის და რა გასაკვირია, რომ იგი მის თვალში ყველა სხვაზე მაღლა დგას.


„მილუოკი ბაქსი“ საშუალო ასაკის კლუბია, 1968 წელს დაარსებულია. იმხანად ნბა სხვა საკალათბურთო ლიგას, აბა-ს, ებრძოდა, ამიტომ ახალ წევრებს სიამოვნებით უღებდა კარს. ნბა-ს ოჯახში მოსახვედრად საკმარისი იყო, მის კარზე დაგკაკუნებინა. მილუოკელებს ნბა-ში მოხვედრას მეტად გუნდის სახელის შერჩევა გაუჭირდათ. გამოცხადდა კონკურსი და კლუბის ხელმძღვანელობას დიდი ჯეფა დაადგა. ორმოცდაათმდე შემოთავაზებული სახელიდან, დაწყებული „ჩემპიონები“ და დამთავრებული „ჩხრიალა გველებით“, კლუბის ხელმძღვანელებმა ყველა დაიწყეს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მავანი არ დი ტრებილკოქსი, რომელმაც შემოიტანა წინადადება, გუნდს „ბაქსი“ (ქართულად „ხარიმები“) ეწოდოსო: „ხარიმები ძლიერები, სწრაფნი და მებრძოლნი არიან, ღრმა სულიც აქვთ, ამასთან, ირემი ჩრდილოური ცხოველია და ასე წლის წინ სოფელ მილუოკის ახლო-მახლო ტყეებშიც მრავლად იყო.“ ხელმძღვანელობამ შევებით ამოისუნთქა, მოიწონა ტრებილკოქსის ემბლემა, რომელზეც ბურთით ხელში, უკაცრავად, ფეხში, მხიარულად მოკუნტრუმე ირემი იყო გამოსახული. ამ ემბლემას „ბაქსი“ 1994 წლამდე ატარებდა და მასზე გამოსახული ხარიმები მერე და სხვა

გან გადასვლა უფროსი მეგობრის, ოსკარ რობერტსონის პენსიაზე გასვლამ გამოიწვია. ჯაბარმა ერთი წელი ითამაშა აქ ეულად და ამ დროს „მილუოკი“ ბობოლენიდან საშუალოებში დაქვეითდა, ხოლო მისი ლეკარვის შემდეგ „მილუოკი“ უფრო ქვევითაც ჩაიხრჩა.

მილუოკელები სიამოვნებით იგონებენ პირველ წლებს. ჯაბარმა თავის პირველივე სეზონში წინაზე 29 თამაშით მეტი მოაგებინა „ბაქსს“ და პლეი ოფშიც გაიყვანა. „მილუოკი“ დასძლია პირველი ეტაპი და კონფერენციის ფინალი მომავალ ჩემპიონ „ნიუ იორკთან“ დათმო. მომდევნო, 1970-71 წლების სეზონში „ბაქსს“ ბადლი არ ჰყავდა, ჯაბარი გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და პირველი ბომბარდირი. მან და რობერტსონმა „მილუოკის“ რეგულარულ სეზონში 82-დან 66 მატჩი მოაგებინეს და პლეი ოფშიც ყველა აიკლეს. „სან ფრანცისკოს“ 2:1 ძლიერად შემდეგ დასაველით ფინალში „ბაქსი“ უილტ ჩემბერლენის და ჯერი ვესტის „ლეიკერსს“ შეება და 4:1 დასცა. ყმაწვილმა ჯაბარმა აჯობა შეებრებულ ჩემბერლენს, რობერტსონს — ვესტს. რაც შეეხება ფინალს, იქ „ხარიმები“ იოლად, 4:0 გაუსწორდნენ „ბალტიმორ ბულიტსს“.

ჯაბარი მომდევნო სეზონშიც გახდა უძვირფასესი და ბომბარდირი, თუმცა დასაველითის ფინალი ამჯერად „ლეიკერსისა“ იყო.

1974 წელს ჯაბარი მესამედ დასახელებ სეზონის უძვირფასესად. იმ წელს „მილუოკი“ მკორედ და, როგორც გამოჩნდა, საბოლოოდ გავიდა ნბა-ს ფინალში და იქ უდაბაბულეს სერიამში 3:4 წააგო ჯონ პავლიჩეის და დეივ კოუენის „ბოსტონთან“. ეს ფინალი ნბა-ს ისტორიაში იმითაა გა-




თვით ქარიმ აბდულ-ჯაბარი

მორჩეული, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიგო ზედიზედ ორი თამაში. „ბოსტონმა“ იმარჯვა პირველ, მესამე, მეხუთე და რაც მთავარია, მეშვიდე შეხვედრაში და ჩემპიონობაც მას დარჩა. ფინალში მარცხის შემდეგ რობერტსონი დაეთხოვა ბურთსა და მოედანს, მერე ჯაბარიც წავიდა და „ხარიმებმა“ დაიჩოქეს. მოგვიანებით „ბაქსი“ დასაველითიდან აღმოსავლეთ კონფერენციაში გადაბარდა.

„ხარიმები“ 1976 წლიდან გამოღვიძდა ახალმა მწვრთნელმა ღონ ნელსონმა. ამ ვეტერანი კალათბურთელის ასაკის კაცს ნბა-ს გუნდის გადოლის გამოცდილება არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ჭკუა უჭრიდა და ფანჯარაც არ აკლდა.

მან მცირე ექსპერიმენტებით დაიწყო და იმდენი ქაჩა, სტანდარტული ნიჭის ბიჭებისგან საკმაოდ კარგი გუნდი შეკრა და 80-იან წლებში ბობოლათა მარაქაში დაბრუნა „ბაქსი“. 1981-87 წლებში „მილუოკი“ მუდამ პირველი იყო ცენტრალურ დივიზიონში და პლეი ოფშიც თავს არ ირცხვენდა, თუმცა „ხარიმები“ აღმოსავლეთის ფინალს ვერ გასცდნენ, მათსა და ნამდვილ ფინალს შორის სალ კლდედ აღმართულიყო ლარი ბერდის „ბოსტონი“. კლუბის ისტორიის ამ მონაკვეთში მილუოკელებმა რამდენიმე პირადი ტიტული ირგუნეს — ნელსონი 1983 და 85 წლებში ორჯერ გახდა სეზონის საუკეთესო მწვრთნელი. 1983 წელს ნბა-ში შემოიღო წლის საუკეთესო დამცველის ტიტული. იმ და მომდევნო, 1984 წელს ეს პრიზი არაის დაანება „მილუოკის“ მაშინდელმა ლიდერმა სიდნი მონკერიფმა.



მილუოკი და რეი ალნი აღმოსავლეთის ფინალში გასვლას ზეიმობენ

ოსკარ რობერტსონს (მურთით) ქარიმ აბდულ-ჯაბარი გამოუხრდა




ურაიი ცუდი ბიჭებისთვის

სწორედ გუშინ დილით „ლიდის“ მცველი ჯონათან ვუდგეიტი საგარჯიშო მოედნის გარშემო დააბრუნებდა ხალხისთვის ინგლისური კომედიიდან „მხოლოდ შტერები და ცხენები“ ნაცნობ ამ სამთვალა მანქანას. „ლიდის“ უფროსობას საღალბოთო წესი შემოუღია, ყოველ კვირა დილას ეს სასაცილო მანქანა სავალდებულო გადაადგილების საშუალებად გადაეცემა იმ კვირაში ყველაზე უგულოდ მოგარჯიშე ფეხბურთელს. ყოველ კვირაში მანქანას ეყოლება ახალი პატრონი, რომელიც კვირის ბოლოს თავის ავტოგრაფს დატოვებს მის კარზე. „იაგუარებს“ და „მერსედებს“ განგუული ლიდსელი ვარსკვლავები სიცილით იჭაჭებიან და ერთმანეთს უკვე დასცინიან, არა შენ იქნები ამ ურმის პატრონი, არა შენო. ვუდგეიტს მანქანა შოუს ამბავში გაუტარებია, თუმცა იქაც მოუსმენია მეგობართა ოხუნჯობა, უკანასკნელად არ უზინარ მაგის საჭესო.



THE SUN



THE SUN

ჩაკოსნეს

ეს ველოსპორტისთვის ჩვეული ფოტოა. ეტაპს მოიგებ და გოგონებები ჩაგკოცნიან. მოუგია „ტურ დე პორტუგალის“ მეცამეტე ეტაპი ესპანელ ხუან ლუის ვიკარიოს. ჰოდა ჩაკოსნეს, თუმცა გამარჯვებული ოდნავ სევდიანი ჩანს.



REUTERS ლისაბონიდან

ახალი ჯორდანელი




REUTERS სილვესტრონიდან

ჩანს, მეფორმულე ჟან ალეზიკ კმაყოფილია და „ჯორდანის“ გუნდის პატრონი ედი ჯორდანის. „ჯორდანში“ გერმანიის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ „ბროსტის“ გუნდიდან გადასული ალეზი ამ დღეს პირველად ჩაჯდა ახალი გუნდის მანქანაში, „იჯეი 11“-ში და ამ გუნდისთვის მშობლიურ სილვესტრონის ვეპზე გაატარა-გამოატარა. ალეზიმ დათხოვნილი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ადგილი დაიკავა „ჯორდანში“.

ქვინზთაუნური სიბიძე

ახალ ჯელანდიაში, ქვინზთაუნის ახლოს გრძელდება ექსტრემალური თხილამურთბის მსოფლიო შეჯიბრი „შელის გამოსწვევა“. მონაწილეებს შეველმფრენებით სხამენ მოეზუე, იშა კი ძირს დასაშვებად თხილამურთბის ყველა გიჟმაჟი ხერხი უნდა გამოიყენონ. მაუნტ ალბერტის მიეგი ახლა ის ალაგია, სადაც მამაცი სპორტსმენები დაფრინავენ. მაგალითი სახეზეა: ახალზელანდიელ სემ ჰენიდაინს ბარე ოცი მეტრის გადაფრენა უწევს ერთი კორტონიდან მეორეზე.



REUTERS ვაშინგტონიდან

სნაკლას და თაბაუის

ასამთა არტურ კუის სახელობის ნორჩ ჩოგბურთელთა განვითარების პროგრამა. პატარა სპორტსმენებს ვარჯიშსა და თამაშთან ერთად წიგნებსაც უკითხავენ და ნაირგვარ შეშეცნებით თამაშებშიც ჩააბამენ სოლმე. რაც მოთავარია, ამ საქმეში მოზრდილი ჩოგბურთელები მონაწილეობენ, როგორც, მაგალითად, ენდი როდიგი, რომელიც აქტიურად ჩაბმულა ვაშინგტონის ჩოგბურთისა და განათლების ფონდის პროგრამაში.

სარბიელი

საქორტული გაჯეტი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჟორცხვიანი
ლირექტორი გიორგი მძრომძველი
რედაქტორი თამაზ მივრიაული
ტექნიკური რედაქტორი მახტან ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კვიციანი სტილი-სტუდია მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბუ-ლაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოღრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-გიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, აღმაშენებლის
საზღვრის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarblieli.com.ge